გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

სამტრედიის მაცნე

N24 (9311) 29 აგვისტო. 2019 წელი ფასი 50 თეთრი

სოლიდარობა ჟურნალისტებს

1958 წლიდან მოყოლებული, 8 სექტემბერს ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოში ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე, იგი 1943 წელს ჰიტლერელთა მიერ სიკვდილით დასჯილი ჩეხი ჟურნალისტის ი. ფუჩიკის ხსოვნის აღსანიშნავად დაწესდა.

დიდი დრო გავიდა 1943 წლის მოვლენებიდან, როცა ჟურნალისტი ჯერ სასტიკად აწამეს, შემდეგ დახვრიტეს. კაცობრიობამაც არაერთხელ აღიმაღლა ხმა ყოველგვარი ძალადობის, დისკრიმინაციის წინააღმდეგ, თუმცა, 21-ე საუკუნეშიც არაერთხელ გვსმენია ადამიანთა, ჟურნალისტთა შევიწროება-ძალადობის ფაქტების შესახებ, რომლებიც არცთუ იშვიათად გამოუსწორებელი შედეგებით მთავრდება.

ამ მანკიერებისა და ბარბაროსობის თვალსაზრისით, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, არაბული სამყარო ლიდერობს.

ფართო გაგებით სოლიდარობა ნიშნავს ჟურნალისტების მიერ გამოთქმულ ობიექტურ შენიშვნებზე, საქმიან წინადადებებზე ხელისუფალთა მიერ მყისიერ რეაქციას, არასოლიდარობაა მეორე და მესამე პირის მეშვეობით პუბლიკაციის, ინფორმაციის ავტორისათვის მუქარის შემცველი აზრების გადაცემა, ან პროვინციული გაბუტვა _ სალმის დაკავება და ა. შ.

ყოველმხრივ ვემიჯნებით და ვგმობთ, ნებისმიერი დონის (ადგილობრივ თუ ცენტრალურ) მედიასაშუალებებიდან ბოღმიან, ღვარძლიან საგაზეთო და სატელევიზიო ნარკვევებსა და გადაცემებს, ბილწსიტყვაობას პროფესიული პრივილეგირებულობის მოშველიებით, თუმცა, ქართული სახელმწიფო და სახელმწიფო მოხელეები (ყველა დონეზე) იმ დასკვნამდე აუცილებლად უნდა მივიდნენ, რომ გაითავისონ ჟურნალისტთა მართალი, ობიექტური შენიშვნები, წინადადებები. ხელისუფლება და ხელისუფალნი ჟურნალისტებს არა როგორც მოწინააღმდეგეს, მხოლოდ ავის დამნახველთ, არამედ ერთ საერთო საქმის მკეთებლებად უნდა აღიქვამდნენ.

სოლიდარობას ვუცხადებთ ჯერ კიდევ ჩაგრულ და ურთულეს პირობებში მოღვაწე ჟურნალისტებს.

შევნატრით იმ ქვეყნებს, სადაც ესმით და ჯეროვნად რეაგირებენ ამ პროფესიის ადამიანთა ნათქვამსა და დაწერილზე, ტელე და რადიორეპორტაჟებზე.

ლევან გაბეჩავა

3 ტონი კატეგორიულია

"მათი სახეები შეყინულღიმილიანდა"_ რაზე წუხს დოჩანაშვილზე შეყვარებული ახალგაზრდა პედაგოგი 4

დავიცვათ საქართველოს სისუფთავე 3

5 თანამედროვე ქართული პოეტური ენის ლექსიკურ-გრამატიკული საკითხები

საარჩევნო ადმინისტრატორის სასწავლო კურსები იწყება 2

საარჩევნო ადმინისტრატორის სასწავლო კურსები იწყება

ნათია ნაცვლიშვილი

"ცესკო" და სწავლების ცენტრი 2019 წლის 25 სექტემბრიდან საქართველოს მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტში სასწავლო პროექტ "საარჩევნო ადმინისტრატორის კურსების" განხორციელებას იწყებს.

პროექტის ფარგლებში სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული საინფორმაციო-სასწავლო კურსი პროფილურ სწავლებას ითვალისწინებს.

3-დღიანი სასწავლო პროგრამა ეთმობა კენჭისყრის დღის პროცედურებისა და საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების შესწავლას და მიზნად ისახავს საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიციური საკადრო რესურსის ფორმირების ხელშეწყობას.

"სამტრედიის მაცნე" ამ დღეებში დაუკავშირდა 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. ნანა იმნაძემ სასწავლო პროგრამის შესახებ ისაუბრა: "სასწავლო პროგრამაში გამოყენებული პრაქტიკული სწავლების ფორმატში მონაწილეები გაეცნობიან ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიც არის: დემოკრატიული საარჩევნო პროცესის სახელმძღვანელო პრინციპები, მათ შორის, ხმის მიცემის ფარულობის პრინციპი, საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურა, საარჩევნო მოხელის საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპები, ეთიკის კოდექსი, საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში. საუბნო საარჩევნო კომისიის გახსნა და კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები; კენჭისყრის პროცესში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მიერ ფუნქციების შესწავლა და ხმის მიცემის პროცედურა; კენჭისყრის მიმდინარეობისას პროცედურული რისკების იდენტიფიცირება და რეაგირება; ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვა; საარჩევნო უბნის დახურვა;

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა და საჯაროობა; კენჭისყრის დღის განცხადება-საჩივრები".

"საარჩევო ადმინისტრატორის სასწავლო კურსების" ჩატარებას უზრუნველყოფენ სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებული საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები და საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერები. 54-ე სამტრედიის ოლქში ტრენერები იქნებიან ნანა იმნაძე და სოფიო დარჯანია.

სოფიო დარჯანია, ტრენერი: "აღნიშნული სასწავლო კურსის განხორციელება ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებას, ისინი საუბნო-საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრები იქნებიან. სასწავლო კურსი მათ ხელს შეუწყობს, გახდნენ კარგი ადმინისტრატორები. ამდენად აქვს დიდი მნიშვნელობა სასწავლო კურსის გავლას. ჩვენთან, სამტრედიაში, მე-3 წელია, რაც ადმინისტრატორის პროფილური კურსები ხორციელდება და გარკვეული წარმატებები გვაქვს ამ კუთხით".

სასწავლო კურსის გავლა შეუძლია საქართველოს მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან. რეგისტრაცია 2019 წლის 29 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით განხორციელდება.

ბაღები ახალი სასწავლო წლის დასაწყებად მზად არის

სააღმზრდელო პროცესი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სავარაუდოდ, 16 სექტემბერს დაიწყება. 2 კვირით ადრე საბავშვო ბაღების თანამშრომლები შეუდგებიან საქმიანობას, მოაწესრიგებენ ეზოებს, შენობებს, რათა პატარებს სათანადოდ მომზადებულები დახვდნენ.

წლევანდელ წელთან დაკავშირებით საგანმანათლებლო მიმართულებით ძალიან ბევრი სიახლე იგეგმება. კერძოდ, გადამზადდნენ მეთოდისტები, შესაბამისად _ სერტიფიცირებულები გახდნენ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შემდეგ ეტაპზე გეგმავს აღმზრდელების, თანაშემწეების, მუსიკის მასწავლებლების გადამზადებას. ეს უკანასკნელი შეეხებათ საბავშვო ბაღის მმართველებსაც.

ხათუნა გაგუა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი: "საბავშვო ბაღების თანამშრომელთა გადამზადება, პირველ რიგში, ხელს შეუწყობს: სწავლის დონე და სასკოლო მზაობა წინა პლანზე წამოიწიოს ბაღებში, დაფასდეს აღმზრდელის შესაბამისი განათლება, მიენიჭოს მას პედაგოგის სტატუსი, ისარგებლოს ყველა იმ სიკეთით, რითაც საჯარო სკოლების პედაგოგები სარგებლობენ. საბავშვო ბაღების სერტიფიცირებულ აღმზრდელებს განათლების სამინისტრო გაზრდილ ხელფასებსაც ჰპირდება.

რაც შეიძლება ამ დროისთვის ვთქვათ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 24 სკოლამდელი დაწესებულებიდან ზაფხულის პერიოდში სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა 1-ლ, მე-2, მე-3, მე-5, მე-6, მე-7, მე-9, მე-11, დიდი ჯიხაიშის 1-ლ და მე-2, დაბა კულაშის, ზედა გომის, საჯავახოს საბავშვო ბაღებს. პირველი ეტაპის სამუშაოები თითქმის ყველგანაა დასრულებული. ამჟამად დასუფთავების სამუშაოებს აწარმოებენ. სარემონტო სამუშაოების მეორე ეტაპი მოკლე ხანში დაიწყება. ასე რომ, სამტრედიის მუნიციპალიტეტი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ახალი სასწავლო წლის დასაწყებად მზად არის".

ნინო ნანიტაშვილი

პენსიონერთა კავშირის წევრები მოხუცებს დაეხმარნენ

სამტრედიის მუნიციპალიტეტში მდებარე "სათნოების სახლს" სტუმარი არასოდეს აკლია. ამ სახლში დღესდღეობით ოცი ბენეფიციარია, მათ შორის უხნესი ქალბატონი, გალინა ზაქრაძე 101 წლის არის. საქართველოს პენსიონერთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის სამტრედიის თავმჯდომარე ნინეზა გორდულაძე ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებთან და მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსთან, ბეჟან გეგეშიძესთან ერთად "სათნოების სახლს" ეწვია. ამჯერად მათ ბენეფიციარებს ეტლები და ტანსაცმელი მოუტანეს.

ნინეზა გორდულაძე: "რამდენიმე წლის წინ ამ სახლში ჩვენს სათნო მოხუცებს მოვუტანეთ საკვები პროდუქტები, ახლა კი ჩვენმა სპონსორმა არასამთავრობო ორგანიზაცია "კარიტასმა" დაგვაფინანსა, ბენეფიციარებს მოვუტანეთ ეტლები და ტანისამოსი. ჩვენს მოხუცებს ჩვენგან ყურადღება და მზრუნველობა ესაჭიროებათ".

სტუმრებს ქველმოქმედების გაწევისათვის მადლობა გადაუხადეს მოხუცებმა და სათნოების სახლის დირექტორმა, მამა შიო ჭაფოძემ.

ნათია ნაცვლიშვილი

ტონი კატეგორიულია

ლევან გაბეჩავა

21 აგვისტოს გამართული შეხვედრა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან, ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებთან არაფრით განსხვავდებოდა, გარდა მუნიციპალიტეტის მერის მკვეთრად გამოხატული მკაცრი ტონისა. ტრადიციულად მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ შეკრებილთაგან ინფორმაციები მოისმინა სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში, ქალაქში, დაბასა და სოფლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების თაობაზე და რიგი შენიშვნები და წინადადებები მისცა მათ. ჩვენგან არათუ ხელის შეშლა, შეფერხებაც არ გექნებათ, მთავარია, სამუშაო ხარისხიანად შესრულდეს, ისე, როგორც თითოეული თქვენგანი საკუთარ ოჯახებში გააკეთებდით. თვალს არაფერზე დავხუჭავთ! სკოლებში უსაშველოდ დიდი სამუშაოები არ მიმდინარეობს, ამდენად, 10 სექტემბრამდე ყველაფერი დაასრულეთო, _ აღნიშნა მუნიციპალიტეტის თავკაცმა. ქალაქში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებისას მეტი სიფრთხილისაკენ მოუწოდა მშენებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელებს მერის მოადგილე დავით ბახტაძემ და იმ ადგილებში, სადაც სამუშაოები მიმდინარეობს, შესაბამისი ნიშნების დამაგრების აუცილებლობას გაუსვა ხაზი.

გორმაღლის თემში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების თაობაზე საკუთარი წინადადებები დააფიქსირა და გაამყარა მერის წარმომადგენელმა ამ თემში, ქალბატონმა ხათუნა ლებანიძემ.

შეხვედრა, რომელსაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური, მერის მოადგილე დავით ბახტაძე, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია, საკრებულოს წევრები, ქალაქსა და სოფლებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, საქმიან ატმოსფეროში ჩატარდა.

"ჯეო ჰოსპიტალსი" 8 წლისაა

"ჯეო ჰოსპიტალსის " ჰიმნად ქცეული სიმღერის ფონზე სამტრედიის ამბულატორიული ცენტრის მედპერსონალმა სამედიცინო დაწესებულების იუბილე აღნიშნა. სადღესასწაულო ტორტი ამბულატორიული ცენტრის დირექტორმა ლუარა კახიანმა თანამშრომლებთან ერთად საზეიმო ვითარებაში გაჭრა, დალოცეს "ჯეო ჰოსპიტალსი" და ერთმანეთს პროფესიულ საქმიანობაში წარმატებები უსურვეს.

22 აგვისტოს "ჯეო ჰოსპიტალსის" კლინიკების ქსელს რვა წელი შეუსრულდა. საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და მუნიციპალიტეტებში ერთი ათეული წელია, რაც "ჯეო ჰოსპიტალსის" კლინიკების ქსელი წარმატებით მუშაობს და სლოგანით _ "ჩვენ ძლიერი გუნდი ვართ" გულისხმიერად ემსახურება პაციენტებს.

"ჯეო ჰოსპიტალსის" სამტრედიის ამბულატორიული ცენტრი ჩართულია სახელმწიფო და საყოველთაო, ტუბერკულოზის მართვის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, იმუნიზაციის, C ჰეპატიტის პროგრამებში, საშვილოსნოსა და პროსტატის კიბოს სკრინინგში, ამავდროულად მუშაობს კერძო სადაზღვევო კომპანიები.

სამტრედიის "ჯეო ჰოსპიტალსის" ამბულატორიულ ცენტრში დღეისთვის ბენეფიციართა რაოდენობა 25 178-ია. დღის განმავლობაში სამტრედიის ამბულატორიული ცენტრი 150-დან 200-მდე პაციენტს ემსახურება.

ნინო ნანიტაშვილი

დავიცვათ საქართველოს სისუფთავე

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის, ორგანიზაციების "დავიცვათ საქართველოს სისუფთავე" და "ბუნების მკვლევართა კავშირი ორქისის" პროექტის "შევინარჩუნოთ საქართველო სუფთად" ფარგლებში **მიმდინარე წლის 20, 21, 22 სექტემბერს საქართველოს დედაქალაქ თბილისსა და რეგიონებში ტარდება დასუფთავების აქციები.**

საქართველოში პროექტი შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.

აქციის ორგანიზატორები მოუწოდებენ საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებს, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ჩვენი საცხოვრებელი გარემოს სისუფთავე და მოსახლეობის ჯანმრთელობა, შეუერთდნენ საერთაშორისო აქციას და ამ კუთხით გამოუცხადონ სოლიდარობა მსოფლიოს.

ჩავერთოთ აქციებში და დავასუფთავოთ ჩვენი ქალაქი, დაბა, სოფელი, თემი, ეზო!

ლევან გაბეჩავა

ვისაც ლიტერატურა უყვარს

“მათი სახეები შეყინულლიმილიანდა”_ რაზე წუხს დოჩანაშვილზე შეყვარებული ახლგაზრდა პედაგოგი

ნათია ნაცვლიშვილი

თეონა თარგამაძე სოფელ ნიგორზღვის საჯარო სკოლის სპეცპედაგოგია, პროფესიით ფილოლოგმა ახლახან წარმატებით გადალახა პედაგოგის კომპეტენციის ზღვარი. ნიჭიერი და წიგნიერი ახალგაზრდა რუბრიკაში “ვისაც ლიტერატურა უყვარს” წიგნებზე სასაუბროდ მოვიწვიეთ.

_ **წიგნი თქვენთვის რა ფენომენია?**

_ ჩემთვის წიგნი სულის საზრდოა, ასევე, ცხოვრების საუკეთესო გზამკვლევი, ხშირად თავშესაფარი, მანუგეშებელი და ბევრი, ძალიან ბევრი ფიქრის მიზეზი...

_ **უწიგნოდ ჩავლილ დღეს რას შეადარებდით?**

_ უწიგნოდ ჩავლილი დღე სულისთვის იგივეა, რაც ხორცისთვის შიმშილი ან წყურვილი.

_ **რა ჟანრებს ანიჭებთ უპირატესობას?**

_ ლიტერატურული ჟანრებიდან უპირატესობას რომანსა და მოთხრობას ვანიჭებ.

_ **დიდი ბიბლიოთეკა გაქვთ?**

_ სამწუხაროდ, არც ისე, ჯერ კიდევ არ მაქვს ჩემი ოცნების ბიბლიოთეკა _ უამრავი ძველი წიგნით დახუნძლული თაროები.

_ **როგორ იცავ ბალანსს კლასიკოსებსა და თანამედროვე პოეტებს შორის მათი წაკითხვის თვალსაზრისით?**

_ რა თქმა უნდა, კლასიკოსი პოეტები და მათი შემოქმედება ძალიან მიყვარს, (ან როგორ შეიძლება არ მიყვარდეს!), არასდროს მომბეზრებია საყვარელი ლექსების კითხვა, მეტიც, მოთხოვნილებად მექცა, რომ დროდადრო მივუბრუნდე კლასიკოსებს. რაც შეეხება თანამედროვე პოეზიას, ისიც ძალიან ახლობელია ჩემთვის. ზოგჯერ სპეციალურადაც ვეძებ და ძალიან მიხარია, როცა რაიმე ახალ, საინტერესო, ძალიან მაგარ ლექსს აღმოვაჩენ. შეიძლება ითქვას, რომ კითხვის თვალსაზრისით კლასიკურსა და თანამედროვე პოეზიას შორის ბალანსს არ ვარღვევ.

_ **რომელი უცხოელი მწერლები მოგწონს?**

_ ბევრი მომწონს, თუმცა, ამ კითხვაზე მაშინვე შექსპირი, ჯოისი, სტენდალი, რემარკი გამახსენდა...

_ **საყვარელი ფრაზა ან ციტატა თქვენი საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოებიდან...**

_ ეს არის გურამ დოჩანაშვილის “სამოსელი პირველიდან”: “დომენიკო, იცი, ადამიანები გაუცხოვდნენ, მზერაც რაღაცნაირად ცივი და დამცინავი გაუხდათ, მათი სახეები შეყინულლიმილიანდა, გაიცრიცა, სიყალბე შეერია, თვალებისაც უნდა მეშინოდეს? დომენიკო? ადამიანის უნდა მეშინოდეს? არ შეიძლება, ყველანი კარგები ვიყოთ? არ შეიძლება, მხოლოდ სიკეთე ვაკეთოთ და ერთმანეთი ვაბედნიეროთ? დომენიკო, არ შეიძლება?”

_ **პოეზიას ამჯობინებ თუ პროზას?**

_ ვერ ვამჯობინებ ვერცერთს, ორივე ძალიან მიყვარს, არჩევანს რომელიმეს სასარგებლოდ ვერ გავაკეთებ.

_ **როგორც ახალგაზრდა პედაგოგი, რას მიიჩნევთ ახალი თაობის წიგნთან დაშორების მთავარ მიზეზად და რას ურჩევთ მოსწავლეებს, რატომ უნდა შეიყვარონ წიგნი?**

_ არ ვფიქრობ, რომ მაინცდამაინც ახალგაზრდები დაშორდნენ წიგნებს, ისე კი, ვცხოვრობთ ეპოქაში, რომელშიც ყველა სადღაც მიიჩქარის და ამ სიჩქარეში, თითქოსდა, საქმიან ფუსფუსში, სამწუხაროდ გვავიწყდება, (ან დრო არ გვრჩება), რომ სულიერ საზრდოზე ვზრუნოთ. რაც შეეხება მოსწავლეებს, მათ ვურჩევ, იკითხონ რაც შეიძლება მეტი, რადგან კარგი წიგნი ყველაზე დიდი და უღალატო მეგობარია, რომელიც თვალწინ გვიშლის ახალ სამყაროს და გვაძლევს შანსს, გავხდეთ იმაზე უკეთესები, ვიდრე ვართ...

_ **რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდით?**

_ დომენიკოსთან, ვასიკო კეჟერაძესთან და ვიქნებოდი ერთ-ერთი კლიმი.

_ **ვინ არიან თქვენი საყვარელი ქართველი მწერლები?**

_ ძალიან მიყვარს ქართული მწერლობა, ბევრი ქართველი მწერალია ჩემთვის ძალიან ახლობელი და საყვარელი, განსაკუთრებით მიყვარს ვაჟა-ფშაველა, ნოდარ დუმბაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გოდერძი ჩოხელი, ჯემალ ქარჩხაძე, გურამ დოჩანაშვილი, ქართველებს მართლაც რომ საამაყო მხატვრული ლიტერატურა გვაქვს, რაც ამ ბუმბერაზი მწერლების დამსახურებაა. რამდენჯერაც არ უნდა წავიკითხო ამ მწერალთა ნაწარმოებები, იმდენჯერ რაღაც ახალს, მანამდე შეუმჩნეველს ვპოულობ. არაფერს ვამბობ გამორჩეულ, გასაოცარ მხატვრულ ენასა და მკვეთრად გამოხატულ ინდივიდუალიზმზე.

_ **გქონიათ თუ არა ურთიერთობა, შეგახვედრათ თუ არა ბედმა რომელიმე ცოცხალ კლასიკოსს? როგორ გაიხსენებთ ამ შეხვედრას? გაქვთ წიგნი რომელიმე მწერლის ან პოეტის წარწერით?**

_ ჩემდა სამწუხაროდ, პირადად ჯერ ვერც ერთ ჩემთვის საყვარელ მწერალს ვერ შევხვდი, (ვოცნებობ გურამ დოჩანაშვილთან შეხვედრაზე), ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, უმეტესად ურთიერთობა მქონდა სამეცნიერო ლიტერატურის წარმომადგენლებთან, მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელებთან, გავიხსენებდი ირმა რატიანს, რომელმაც იაპონური პოეზიის არაერთი შედევრი არაჩვეულებრივად თარგმნა ქართულ ენაზე, მისი ლექციები განსაკუთრებით საინტერესო და დასამახსოვრებელი იყო ჩემთვის, ასევე მქონდა პროფესორ ტრისტან მახაურის გაცნობის და მასთან ურთიერთობის ბედნიერება, ბატონი ტრისტანი იყო გოდერძი ჩოხელის მეგობარი და ხშირად ვსაუბრობდით ამ არაჩვეულებრივი მწერლის შემოქმედებასა და მისი ცხოვრების უცნობ დეტალებზე.

_ **დაგნანებიათ წიგნში უკანასკნელი გროშის გაცემა?**

_ არ დამნანებია და ვფიქრობ, არც დამენანება, განსაკუთრებით, როცა საქმე ძველ წიგნს ეხება, (ძველ წიგნებს ხომ განსაკუთრებული სურნელი და ისტორია აქვს), მქონია შემთხვევები, როცა ბუკინისტების დახლზე შემთხვევით ისეთი წიგნი დამინახავს, რომ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შემიძენია.

_ **დღეს თქვენი თაობა უცხოენოვან მწერლებს მიეძალა, ამაში ცუდი არაფერია, თავად თქვენ რომელ უცხოელ პროზის კლასიკოსებს იწონებთ? რომელმა უცხოურმა ნაწარმოებმა დაგაფიქრათ, დიდხანს აღმოგაჩინათ მის ტყვეობაში?**

_ სხვათა შორის, მე უფრო ქართველ მწერლებს მივეძალე, ბოლო დროს ნაწარმოებში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ მწერლის მხატვრულ ენას და რადგან თარგმნილ ლიტერატურას ვკითხულობ, ზოგჯერ უცხოელი მწერლის ის გამორჩეული სიტყვის ხელოვნება რაღაცნაირად იკარგება (რა თქმა უნდა, კარგი თარგმანიც ბევრი მოგვეპოვება), უცხოელი მწერლებიდან ყოველთვის მოხიბლული ვიყავი შექსპირითა და მისი დრამატურგიით, შექსპირის შემოქმედებას არ აქვს ქრონოლოგია, რადგან წამოჭრილი პრობლემა, საკითხი, მუდმივად აქტუალურია და ყველაზე ბევრიც სწორედ მის შემოქმედებაზე მიფიქრია და ძალიან ბევრჯერ მივბრუნებივარ, ვფიქრობ, ერთი-ორი წაკითხვით შეუძლებელია, შექსპირს ღრმად ჩასწვდე. მახსოვს, ასევე, ძალიან დამაფიქრა “დორიან გრეის პორტრეტმა” და “ოსტატი და მარგარიტამ”, ვფიქრობ, ეს უკანასკნელი იმდენად ფილოსოფიური, მისტიური, სიმბოლურია... რომ კიდევ ერთხელ მიბრუნების შემთხვევაშიც, ისიც მრავალი კითხვისა და ფიქრის მიზეზი გახდება.

_ დაგვემშვიდობე საყვარელი ლექსით...

“ყოველ ღამეს მიაქვს
ფიქრი სევდილზე და სიშორეზე.
და მეშინია...
ვფიქრობ: მოვა წამი, როცა არ ვიქნები
ცოცხალი. მაინც მჯერა ჩემი უკვდავება.
მე პოეზიამ მაგრძნობინა, რომ
სადღაც შორს არსებობს უკვდავების
ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს
ჩემი მწუხარე სული.
ქარიშხლიანი ღამეა და მინდა ვიყო
სხვაგან.
პოეზიამ იცის უეცარი სიხარული,
რომელიც უდრის გაფრენას.”

მოგონებები სკოლაზე

ღაბრუნება წარსულში

მადონა (ინეზა) ინასარიძე თანაკლასელ ნათელა გელეიშვილთან ერთად

თანაკლასელი მეგობრის _ ნათელა გელეიშვილის, ზარმა ბავშვობაში დამაბრუნა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაო დრო გავიდა (60 წელი) ჩვენი სკოლის დამთავრებიდან, მეხსიერებას ბევრი საინტერესო მოგონება შემორჩა. რკინიგზის სამტრედიის 24-ე საშუალო სკოლა _ ეს იყო ჩვენი სკოლის მაშინდელი სრული დასახელება. სკოლის სახელი მის გამორჩეულ ხელმძღვანელთან, ქალბატონ შუშანა ქართველიშვილთან, ასოცირდებოდა, ამიტომ მას ბევრი მოიხსენიებდა “შუშანიკას სკოლად”.

ქალბატონი შუშანა საკმაოდ მკაცრი და ოფიციალური პიროვნება გახლდათ. მისი გამოჩენა სკოლის დერეფანში მასწავლებელთა და მოსწავლეთა სრულ სიჩუმესა და მოკრძალებას იწვევდა. პირველი შეხვედრა მასთან, როგორც მასწავლებელთან, მერვე კლასში მოგვიწია, ისტორიას გვასწავლიდა. სულ სხვა იყო გაკვეთილზე. თბილი, საგნის ღრმა მცოდნე, ცდილობდა, ჩვენი დაძაბულობა მოეხსნა. კარგად მახსოვს, პირველად მე და ნოდარ ახობაძე გამოგვიძახა. დაფასთან ვიდექით და სუნთქვა გვეკვროდა, მაგრამ თვითონვე გაგვამხნევა. ჯერ მე დავიწყე, მერე ნოდარს გააგრძელებინა (ნოდარიც საუკეთესო მოსწავლე იყო), თან საკითხების დაზუსტებაში გვეხმარებოდა. იმდენად მოეწონა ჩვენი პასუხები, ორივემ “ხუთიანი” დავიმსახურეთ.

ეს იყო დიდი ბარიერის მოხსნა კლასის ყველა მოსწავლისათვის. მივხვდით, რომ შუშანა მასწავლებელი გაკვეთილზე მომთხოვნი და ამასთან საკმაოდ გულისხმიერი იყო.

დირექტორის კაბინეტის კარი ღია აივანზე გადიოდა, რომელიც სკოლის ეზოს გადაჰყურებდა. საზეიმო დღეებში და ზოგჯერ დილის გამამხნევებელ ვარჯიშზე ქალბატონი შუშანა აივანზე გამოდიოდა და იქიდან გვიცქერდა, ზოგჯერ მითითებებს გვაძლევდა. თოვლივით თეთრი თმით, შავებში მოსილი ქალბატონი ჩვენი სკოლის სახე იყო. ღიმილი ძალიან უხდებოდა, თუმცა იშვიათად იღიმოდა. მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, ალბათ, ყველას ასეთი დაგვამახსოვრდა ეს დიდებული ქალბატონი.

1957-1958 სასწავლო წელი

ჩვენი სკოლა ორ შენობაში იყო განთავსებული _ თეთრი ქვისა და წითელი აგურის შენობაში. ძალიან მიხარია, რომ წითელი აგურის შენობისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიუნიჭებიათ. კარგად მახსოვს, პირველკლასელები სწორედ ამ შენობაში მიგვიღეს.

ჩვენს კლასში ბევრნი ვიყავით საკმაოდ ძლიერი მოსწავლე სწავლაში. მეათე კლასში ჩვენი ხელმძღვანელი იყო გოგიტა მაჩიტიძე, რომელიც ფიზიკას გვასწავლიდა. საკმაოდ მკაცრი გახლდათ, მაგრამ ყველას ძალიან გვიყვარდა. ახლაც თვალწინ მიდგას სანდომიანი სახის ქალბატონი ნადია ივანეიშვილი, ჩვენი პირველი მასწავლებელი; ბატონი საშა გელეიშვილი, მათემატიკის მასწავლებელი, ბატონი დავით ანდრიაძე, თავისი საგნის მაღალი პროფესიონალი, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, რომელიც ამშვენებდა ჩვენს სკოლას. გეოგრაფიის მასწავლებელი ქალბატონი ზინა გაგუა, რომელმაც უსაზღვროდ შემაყვარა ეს საგანი. არასოდეს დამავიწყდება ჩვენი სკოლის გამორჩეული პედაგოგები:

მადონა მასწავლებელი 22-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებთან, ქალაქი ქუთაისი

თამარ ჯანელიძე, თამარ რუსია, ნინა წიქორიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი გივი კალაძე, რომელიც გაკვეთილზე ზნეობასაც გვასწავლიდა. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. მინდა, ყველას მადლობა ვუთხრა.

სკოლაში მიღებული ცოდნა ჩემთვის მყარი საფუძველი გამოდგა იმისათვის, რომ მასზე ძლიერი ზედნაშენი ამეგო. სწავლა გავაგრძელე ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ დავბრუნდი სამტრედიაში. პედაგოგიურ მუშაობას კარგად ვუთავსებდი საზოგადოებრივ საქმიანობას.

ჩვენს სკოლასთან ჩემი ურთიერთობა ამით არ დამთავრებულა. ეს სკოლა დაამთავრეს: ჩემმა დამ _ ლუიზა ინასარიძემ, ჩემმა ძმისშვილებმა _ ქეთინო და მიხეილ ინასარიძეებმა, ძმის შვილისშვილებმა: ნანუკა და ზუკა ინასარიძეებმა. ხოლო ჩემი რძლები ნანა კალანდარიშვილი-ინასარიძე და სოფო კირთაძე-ინასარიძე ამ სკოლის პედაგოგები არიან.

1966 წელს დავოჯახდი და საცხოვრებლად ქუთაისში მომიწია გადასვლა. მეუღლე ინჟინერი იყო, დედამთილ-მამამთილი _ მიხეილ ღვალაძე და ნადია ერისთავი _ კი სკოლის დამსახურებული მასწავლებლები იყვნენ. ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ მე ჩემი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი პედაგოგიური საქმიანობა სკოლას დავუკავშირე. მუშაობის შედეგად მიღებული მაქვს: უფროსი მასწავლებლის, მეთოდისტი მასწავლებლისა და უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდებები.

მეუღლე _ ემზარ მიხეილის ძე ღვალაძე _ გარდაცვლილია. მყავს ქალიშვილი _ ხათუნა, ექიმი, სიძე _ მერაბი, და შვილიშვილები: ლაშა, ცოტნე და საბა ვახტანგაძეები. ვარ პენსიაზე და ვხარობ მათი სიხარულით.

გავიდა წლები, ბევრი არაფერი ვიცით თანაკლასელების შესახებ. ძალიან კარგი იქნება, თუ შევიკრიბებით და ერთმანეთს გავახარებთ. ამ სასიკეთო საქმეს თუ მოაგვარებს ჩვენი თანაკლასელი _ ქალბატონი ნათელა გელეიშვილი.

მადონა (ინეზა) ინასარიძე

თანამედროვე ქართული პოეტური ენის ლექსიკურ-გრამატიკული საკითხები

შოთა ჭაჭაძე

აკუსტიკურად და ოპტიკურად აღქმადი ნიშნების სისტემა ენა დროის სვლის პარალელურად იცვლება. იმასთან ერთად, რომ, სეპირ-უორფის თეორიის[1] ძირითადი დებულების მიხედვით, ენა განაპირობებს მისი მატარებლის აზროვნების ტიპს და, ამერიკელი სოციოლინგვისტების[2] განსაზღვრებით, ენა არის საზოგადოებრივი მოქცევის ფორმა, იგი მთავარი საშუალებაა შემოქმედებითი _ პოეტური და პროზაული _ ტექსტის პრეზენტირებისათვის. ამ აზრის მართებულობას, კავშირის სიმჭიდროვეს ვერბალურ თუ წერით შემოქმედებით პროცესსა და ენას შორის ადასტურებს სამეცნიერო დისკურსში უკვე ტერმინებად ქცეული სინტაგმების არსებობაც: "მწერლის ენა", "პროზის ენა", "პოეტური ენა" (შესაბამისად: "პოეტური სინტაქსი", "პოეტური ფონეტიკა", "პოეტური ლექსიკა", "პოეტური სემანტიკა") და ა. შ.

ენობრივი სისტემის ყველა დონეზე ცვლილება ბუნებრივი პროცესია და რამდენადაც სიტყვასთან კავშირი, სიტყვაზე მუშაობა მწერლის შემოქმედების აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს, დიაქრონიულ ჭრილში თუ შევხედავთ, იცვლება შემოქმედების პროდუქტის ენა.

ჩვენი ინტერესის საგანი თანამედროვე ქართული პოეტური ენის ლექსიკურ-გრამატიკული ასპექტებია, მაგრამ ვინაიდან საკითხის ასე დასმა ვრცელ მსჯელობას მოითხოვს, ამჯერად ყურადღებას რამდენიმე პოეტის ტექსტის ზოგიერთ თავისებურებაზე გავამახვილებთ.

თავისი უწვეულო ხელწერითა და ორიგინალური ტექნიკით ვახტანგ ჯავახაძის პოეზია მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე რიგითი მკითხველისა თუ პროფესიონალი მკვლევრის ყურადღებას იმსახურებს. რამდენიმე წლის წინ პოეტი განახლებული ხმით (ლექსი "ელეგია: ყელსაბამი") შემოვიდა თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ პროცესში. არა ერთსა და ორ საინტერესო პოეტურ ნიმუშს ვხვდებით 2012 წელს გამოცემულ ერთტომეულშიც. სწორედ ასეთია "ზარი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა" (*ჯავახაძე 2012 : 66*):

რეკავს, რეკავს, ტარიელის მობილური რეკავს,
რეკავს, ნაპერწკლები სცვივა ფირუზისფერ ეკრანს.
უცნაური ხმით გაივსო სახლი ანუ ქვაბი,
სმენად იქცნენ ხეები და კლდეები და ქვები.
სმენად მხეცნიც მოვიდიან _ ამა ზარის ზართა,
შავი ცხენიც გაკვირდა და გა-ცა-უმეცარდა.
რეკავს, რეკავს, ტყენი დგანან, რეკავს, მთანი სხედან,
იგი სტირს და არა ესმის, ჩაჰღვრის ცრემლთა ცხელთა,
სოფლის გაღმა გააბიჯა _ უცხო მდინარესთან...
_ ცოტა გვიან გადმორეკეთ, ქალბატონო ნესტან!

პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას სათაურის შესახებ, რომ იგი ჯავახაძისათვის დამახასიათებელი ირონიულ-პაროდიული სტილის რემინისცენციაა "ვეფხისტყაოსნდან" (შდრ. "წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მოწერილი"). პოეტი იღებს რუსთველის ფრაზას, რომელშიც სიტყვას "წიგნი" უნაცვლებს გაჯეტის ეპოქის ერთგვარ დენოტატს "ზარი" და შუა საუკუნეებიდან პერსონაჟები დღევანდელ დროში გადმოჰყავს _ საჭურველს აჰყრის ლომგულ ტარიელს, სამაგიეროდ კი ხელში ფირუზისფერეკრანიან მობილურს დააჭერინებს. მიუხედავად გათანამედროვების ამ კარიკატურული მცდელობისა, პოეტი ლექსიკის თვალსაზრისით სრულებით არ ცდილობს, ხელოვნურ არქაიზაციას აარიდოს თავი, პირიქით _ იგი საგანგებოდ (თანაც კვლავ რუსთველის ენიდანვე) ხმარობს არქაიზმებს სიტუაციის ირონიზების მიზნით:

"უცნაური ხმით გაივსო სახლი ანუ **ქვაბი**;" (*ჯავახაძე*)

"მან ყმამან **ქვაბსა** მიმართა, გავლნა წყალნი და კლდენია;" (*რუსთავ., 217,1*)[3]

"**სმენად** იქცნენ ხეები და კლდეები და **ქვები**;" (*ჯავახაძე*)

"რა ესმოდის მღერა ყმისა, **სმენად** მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით **ქვანიცა** გამოსხდიან;" (*რუსთავ., 956, 1-2*)

"**შავი ცხენიც** გაკვირდა და გა-ცა-უმეცარდა;" (*ჯავახაძე*)

"**შავი ცხენი** სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა;" (*რუსთავ., 83, 2*)

"**იგი სტირს და არა ესმის**, ჩაჰღვრის **ცრემლთა ცხელთა**;" (*ჯავახაძე*)

"**იგი ტირს და არა ესმის** მისგან, გაუუმეცარდა:" (*რუსთავ., 86, 4*)

"ნუღარ უჭვრეტთ **ცრემლთა ცხელთა**, თვალთა ჩემთათ მონადენთა;" (*რუსთავ., 643, 2*)

აქვე ვიტყვით ერთ დეტალზეც. ზემოთ უკვე მოვიყვანეთ ლექსის სტრიქონი, რომელშიც ტმესის მაგალითს ვხვდებით ("შავი ცხენიც გაკვირდა და *გა-ცა-უმეცარდა*")[4]. "ტმესი ჩვეულებრივი მოვლენა იყო ზმნისწინიან ზმნებთან ძველ ქართულში, მას ხშირად ვხვდებით შემდეგაც. «ვეფხის ტყაოსანში» საკმაოდ ხშირია ზმნისწინის გამოთიშვისა ზმნისაგან და მათ შუა ნაწილაკისა და ნაცვალსახელის ჩასმის შემთხვევები" (*შანიძე 1973 : 259*). ჯავახაძე ფორმას "გა-ცა-უმეცარდა", ცხადია, "ვეფხისტყაოსნის ენობრივი სტილის მიბაძვით ქმნის, მაგრამ მისი ზუსტი ანალოგი პოემაში არ დაიძებნება. რუსთველთან გვაქვს ზმნა "გაუუმეცარდა". სხვათა შორის, ენათმეცნიერი ალექსი ჭინჭარაული ამ ზმნის თაობაზე გამოთქვამდა მოსაზრებას და ტექსტის დამდგენ კომისიას სთავაზობდა კონიექტურას: "გა-ვე-უმეცარდა"[5] (შდრ. "მკერდსა დაასხა, *გა-ვე-ხდა* ლაჟვარდი ფერად ლალისად" (1332, 4).

არანაკლებ საინტერესოა ლექსის ბოლო ტაეპი. თუკი ცხრასტრიქონედი პოეტმა დატვირთა არქაული ენობრივი კონსტრუქციებითა და ლექსიკით, მეათე სტრიქონში იგი რადიკალურად ცვლის სიუჟეტის მიმართ დამოკიდებულებას, თხრობის მანერას და ლექსის ე. წ. ლირიკულ გმირს, რომლის პროტოტიპი ტარიელის მიჯნური ნესტან-დარეჯანია, მოჩვენებითი თავაზიანობით მიმართავს: "_ ცოტა გვიან გადმორეკეთ, ქალბატონო ნესტან!"

აშკარაა, ჩანაფიქრის მკითხველამდე ვირტუოზულად მისატანად თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ პოეტი ერთდროულად იცნობდეს ენის ისტორიულ (აქ: ძველი და საშუალი ქართულის მასალას) და ცოცხალ ბუნებას, მის სემანტიკურ-გრამატიკულ შრეებს. რასაკვირველია, როცა ვამბობთ "ენას", არ ვგულისხმობთ მხოლოდ და მხოლოდ სალიტერატურო ენის მონაცემებს. საგულისხმოა ენის რეგიონულ-კუთხური ან საალაპარაკო ფორმის _ დიალექტიზმის, როლი. როგორც ცნობილია, "დიალექტიზმები მხატვრულ ლიტერატურაში გამოიყენება ძირითადად ამა თუ იმ რეგიონის ან მოსახლეობის ცხოვრებისეული რეალიების აღსაწერად" (*პოპიაშვილი 2012 : 185*), მაგრამ სატირული კარნავალიზაციის მისაღებად დიალექტური ფორმებით ოპერირება, რაც პოსტმოდერნული მხატვრული გამომსახველობისათვის არის დამახასიათებელი, არაა უცხო თანამედროვე ქართული პოეტური ენისათვის. ნიმუშად განვიხილოთ ვახტანგ ჯავახაძის ზემოხსენებული კრებულიდან ერთ-ერთი ლექსი _ "იმერული" (*ჯავახაძე 2012 : 264*):

ვერ დაუცხრეს გულისთქმანი დაფებმა და ნაღარებმა,
განვლეს ბევრი განსაცდელი, აღმა სვლა და დაღმა რება,
გარნა ვერ კი მოერიათ ცრემლთა მონაღვარება,
რახან ნესტანს ტარიელი ნამეტანი **ნაყვარება**.

დადასტურებულია, რომ იმერული დიალექტისათვის დამახასიათებელია IV სერიის ფორმათა წარმოება. უპირატესად ქვემოიმერულში III შედეგობითის "მინავალა", "ნაგდება" ტიპის მაგალითების გვერდით იდიოლექტში ჩვენ გვხვდება სწორედ "ნაყვარება" ზმნის გამოყენების შემთხვევები. ჯავახაძეც ამ ლექსიკური ერთეულით სარგებლობს და პოეტური ინტენციის ადვილად ამოსაკითხად სათაურითვე გვაწვდის მინიშნებას.

შანსი იმისა, რომ ავტორის მიზანდასახულობის დეკოდირება გაძნელდეს, მეტად თუ ნაკლებად, მაგალითად, არსებობს ტარიელ ჭანტურიას ლექსში "დასვენების დღე პროვინციულ ქალაქში" (*ჭანტურია 1986 : 370*) :

მიჰქრის მანქანა ჭორის სისწრაფით,
და მანქანაში მსხდომთა შესახებ
ქალაქში სწრაფად ვრცელდება ჭორი:

_ უყვარს!
_ ჰყვარებია!
_ **ნაყვარება**!
_ უყვარს!

მწერალი სიუჟეტს აგებს კვლავ დიალექტური "ნაყვარება" ფორმის მეშვეობით, თუმცა თუკი მკითხველ-რეციპიენტს არ აქვს ელემენტარული ლინგვისტური კომპეტენცია (აქ: დიალექტური თავისებურებების ცოდნა), იქნებ მას გაუჭირდეს კიდეც, დააკავშიროს ტექსტი და სათაურიდან მიღებული ინფორმაცია.

დიალექტიზმებს ადამიანის დაბადებისა და/ან ჩამოყალიბების ადგილთან იდენტურობის სფეროსაც მიაკუთვნებენ (*პოპიაშვილი 2012 : 185*). ვახტანგ ჯავახაძისა და ტარიელ ჭანტურიას სტილისტიკასთან ერთად თანამედროვე ქართულ პოეზიაში არის ფაქტები იმისა, რომ (პოსტმოდერნული სიტუაციის სპეციფიკისაგან განსხვავებით) ლექსში დიალექტიზმების მოხმობით ურთიერთობა დიალექტის მატარებელსა და ლიტერატურულ-სტანდარტულ ენაზე მოლაპარაკეს შორის ემოციურად დატვირთული გახდეს. დავიმოწმებთ რატი ამაღლობელის ლექსს _ "აქანა-იქანა" (*ამაღლობელი 2011 : 120*):

განიხვნა კარიბჭე უბიწო ოცნების.
ოცნების მაღლობი მიწისკენ დაქანდა.
ხმა მესმის _ ხმა იგი ჩრდილივით მოძვრება:
რავა ძლებ აქანა.
ოდესღაც პირუკუ სიცოცხლის წიაღი
ნედლი და ვითარმედ ამიერ აღარარს _
მჯეროდა _ წმინდა არს, წმინდა არს ნიადაგ,
ჯერ კიდევ *ბაღანს*.
განქარდა *ბაღნობა* და სივრცის ამარა
დამტოვეს, რომელთა აქ აღარ არიან
და მერე არავინ და მერე არარა
არ **მინდებლარიენ**.
ბერწ და უნაყოფო სამყოფელს ავ ქართა
არ ავსებს არა მზე, არა ცა, არა ხმა.
ნამყოის ჩრდილიღა ჩურჩულებს _
განქარდი,
გარადი გარაღმა.

ჩვენ აქ ვხედავთ ავტორ-ნარატორს, რომელსაც პოეტურ ტექსტში სპორადულად შემოაქვს დიალექტური ფორმები[6]:

რავა _ იმერულის ყველა კილოკავისა და თქმისათვის დამახასიათებელია თანხმოვანთა განვითარებისა და დაკარგვის შემთხვევები. ზოგი თანხმოვნის დაკარგვა თითო-ოროლა შემთხვევით შემოიფარგლება: **ბ** - უბნობს > უნობს//უნოფს, **გ** - მაგრამ > მარამ//მარა, რაგვარი/რაგვარ > რავარი/რავარ > რავა.

ძლებ _ უნდა ყოფილიყო "*ძლეფ*". მჟღერ **ძ** თანხმოვანს დისტანციური პროგრესული დისიმილაციით უნდა განემგავსებინა მჟღერი **ბ**, დაეყრუებინა იგი და ექცია ყრუ ფშვინვიერ **ფ** თანხმოვნად. მაგრამ ვინაიდან სალიტერატურო ფორმა ერითმება წინა სტრიქონის ბოლოკიდურ სიტყვას (შდრ. მო-*ძვრებ* - *ძლებ*), პოეტმა ერთგვარად გათიშა დიალექტური ყაიდის კითხვითი წინადადება: ფრაზაში შეინარჩუნა "*ძლებ*".

აქანა _ **-ნა**//**-ნე** მორფემიდი ხშირია ზმნისართებში: ზემოიმერულში **-ნა** გვაქვს, ქვემოიმერულში (გნსაკ. მის დასავლურ თქმებში) _ **-ნე**: აქა-**ნა**//აქა-**ნე**.

მინდებლარიენ _ **-არიენ**//**-ლარიენ** მეშველი ზმნა, რომელიც ფორმანტადაა გააზრებული (ძირითადად გვხვდება ქვემოიმერულში), გამოხატავს სუბიექტისა (თქვენ [კაცებს] იგი გინდებ*ლარიენ*) და გარკვეულ შემთხვევებში ობიექტის მრავლობითობას. ლექსში -*ლარიენ* მეშველი ზმნით აღინიშნება მრავლობითობა ორვალენტიანი ინვერსიული ზმნის რეალური ობიექტისა: ისნი მე მინდებ*ლარიენ* (შდრ. ისინი მე მიყვარ*ლარიენ*).

გარადი გარაღმა _ ქვემოიმერულში *გარდა-* > *გადა-* ზმნისწინი წარმოდგენილია როგორც *გარა-*//*გარ-*: *გადა*-აგდო > *გარა*-აგდო (შდრ. *გადა*-დი > *გარა*-(დ)ი; *გადაღ*მა > *გარაღ*მა). თუმცა, გარდა ამისა, უნდა ყოფილიყო: *გადა-დი* > *გარა-დი* > *გარა-ი* იმიტომ, რომ **დ**-ონი იმერულში იკარგვის ინტერვოკალურ პოზიციაში (შდრ.: *რადგან* > *რონ*, *შედგ* > *შეგ*; ასევე ზემოიმერულის: *მადანა* > *მანა*, *სადანა* > *სანა*). პოეტმა ისევ შეინარჩუნა სალიტერატურო ფორმა "*გადადი*", რადგან იგი სარითმო მეწყვილედ მოუდის სიტყვას "*განქარდი*" (შდრ.: *განქარდი* _ *გადადი* - *განქარდი* _ *გადაი*).

მაგალითების გამრავლება შესაძლებელია, მაგრამ ამჯერად მიზნის რეალიზების ამ კონკრეტულ დონეზე შევჩერდებით.

რა მიზანი გვქონდა/გვაქვს? _ პირველ ყოვლისა, პასუხი გაეცეს შეკითხვას: რის წყალობით ხდება სამეტყველო ინფორმაცია ხელოვნების ნაწარმოები (*ბოლქვაძე 2012 : 166*)?

პოეტების ვახტანგ ჯავახაძის, ტარიელ ჭანტურიას, რატი ამაღლობელის ტექსტების ზოგიერთ თავისებურებაზე ყურადღების გამახვილებამ გვიჩვენა, რომ ეს განპირობებულია: (ა) ინტერტექსტუალური მეთოდის, (ბ) მრავალშრიანი ლექსიკური ფონდის დომინანტური პოტენციის გამოყენებით, (გ) ენობრივ ფორმათა ~~აქტუალიზაციით~~[7], (დ) ~~აქტუალიზებულ~~ და ~~არააქტუალიზებულ~~ კომპონენტთა ურთიერთდამოკიდებულებით.

თავის ცნობილ ნაშრომში "გრამატიკის პოეზია და პოეზიის გრამატიკა" რომან იაკობსონი წერდა: "ენობრივი მოღვაწეობის სფეროთა შორის სწორედ პოეტური შემოქმედება ანიჭებს "ენობრივ ფუნქციებს" ყველაზე მეტ მნიშვნელობას" (*იაკობსონი 2010 : 149*). ზემორე სტატიით ამ ციტატის მართებულობის მხარდაჭერასა და მისი მთავარსათქმელის ვიზუალიზებას შევეცადეთ.

შენიშვნები:

1. Paul Kay and Willett Kempton: What is the Sapir-Worf hypothesis? American Anthropologist, Volume 86, Issue 1, pp. 65-79, 1984;

2. Stephen O. Murray: American sociolinguistics: theorists and theory groups, 1998;

3. პოემის ტექსტის ციტირება ყველა შემთხვევაში ხდება "ვეფხისტყაოსნის" 1966 წლის გამოცემით, სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, პავლე ინგოროყვა, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი (*რუსთაველი 1966*);

4. ცა- ნაწილაკიან ტმესსვე ხმარობს ვახტანგ ჯავახაძე ლექსში "საბჭოთა კავშირის მოკლე ისტორია": "...ვის კერპები აქებინეს, / ვის პასუხი აგებინეს, _ / თუ ვერ **გაა-ცა-გებინეს**, / უმალ გაკაგებინეს". თუკი ლექსში "ზარი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა" ტმესი ხელოვნური არქაიზაციის ელფერის შექმნას ემსახურება და ბგერათა შეწყობა-შეთანხმებასაც აწესრიგებს, აქ მისი გამოყენება გამოწვეულია მხოლოდ რითმის გასამართად საჭირო მარცვალთა საკმარისი რაოდენობის მისაღებად;

5. "ეს კონიექტურა ახალი არ არის. იგი გვხვდება ჯერ მიხეილ წერეთლისეულ გამოცემაში პოემისა (1961), ხოლო შემდეგში მას იმეორებს პავლე ინგოროყვა (შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პავლე ინგოროყვას რედაქციითა და გამოკვლევით, 1970)" (*კარიჭაშვილი ლ., ვეფხისტყაოსანი და პოსტმოდერნიზმი, თბ., 2011*);

6. დიალექტიზმების განხილვის დროს ვეყრდნობი: *ჯორბენაძე 1989*;

7. ხაზგასმული ტერმინების შესახებ იხ. *ბოლქვაძე 2012 : 162*.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ამაღლობელი 2011: რატი ამაღლობელი, ლექსები თბილისი, 2011

ბოლქვაძე 2012: თინათინ ბოლქვაძე, ენის პოეტური ფუნქციის შესახებ, *ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი*, თბილისი, 2012, გვ. 161-173

იაკობსონი 2010: რომან იაკობსონი, გრამატიკის პოეზია და პოეზიის გრამატიკა, *ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია*, წ. II, თბილისი, 2010

პოპიაშვილი 2012: ნინო პოპიაშვილი, პოეტური ლექსიკა, *ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი*, თბილისი, 2012, გვ. 174-204

რუსთაველი 1966: შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი, თბილისი, 1966

შანიძე 1973: აკაკი შანიძე, თხზულებანი, ტ. III, თბილისი, 1973

ჭანტურია 1986: ტარიელ ჭანტურია, ბალიში _ უატომო ზონა, თბილისი, 1986

ჯავახაძე 2012: ვახტანგ ჯავახაძე, ვახტანგური, თბილისი, 2012

ჯორბენაძე 1989: ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, წ. I, თბილისი, 1989

“განვლილი გზა”

მინდა, ჩვენი გაზეთის მკითხველს შევთავაზო ცნობილი ქართველი მწერლის, მარიამ გარიყულის, მოგონებები, რომლებიც სოფელ დიდ ჯიხაიშში მარიამობის დღესასწაულის ჩატარების ტრადიციას ეხება.

ნათელა გელუხანოვი

“ბაბუაჩემის ოჯახში ასეთი ჩვეულება დაედგინათ: სამარიობოდ ხორბლით სავსე ტომრებით დატვირთავდნენ ურემს და გაუდგებოდნენ ორპირის გზას (ბაბუაჩემი სამ-ოთხ ქცევა მიწაზე თესდა პურს, ხორბალს საოჯახოდაც იტოვებდა, ზედმეტს კი ოჯახისათვის საჭირო ნივთებზე ცვლიდა).

ჩემთვის საგულისხმოა სერგეთის ამბავი, რადგან ბაბუაჩემის სალოცავი იყო. აქ იცოდნენ მარიამობა, პირველ აგვისტოდან, თოთხმეტი დღის მარხულობის შემდეგ თენდებოდა ეს სასიხარულო დღესასწაული. სასიხარულო იმდენად, რამდენადაც ორ-სამ დღეს სრულიად იცვლებოდა ჩვეულებრივი ცხოვრების სახე.

მახსოვს დღეობის სამზადისი: ერთი მოზრდილი მოზვერი ან დეკეული შეეწირებოდა ამ სამ დღეს. სამი-ოთხი გოჭი, ცხვარი და უამრავი ახალი ქათამი.

ანდრია კოხრეიძე, შუახნის, თმაჭაღარა, მაღალი, ცოტათი ბეჭებში მოხრილი კაცი, ორი დღით ადრე შეუდგებოდა პურის გამოცხობის თადარიგს.

მარიამობის წინადღით დილიდანვე გაახურებდა საბძელს უკან კოპიტებში დადგმულ და ყავრით გადახურულ თონეს, სამი ფუთი ფქვილი მურასებად უნდა ექცია. პურის ცხობას რომ მორჩებოდა, ახლა ჭადებს დაბრაწავდა, შემდეგ შამფურზე აგებულ გოჭებსა და ცხვარს ჩააყუდებდნენ ცოტად შენელებულ თონეში.

მთელი ოჯახი საქმით იყო დაკავებული: ბიძა ან ბაბუა ქვევრებს დასტრიალებდნენ, ღვინოს სინჯავდნენ, ამოწმებდნენ, ახარისხებდნენ, დეიდა ოდაში საქმიანობდა, ალაგებდა, ასუფთავებდა, ბებიას სხვა საოჯახო საქმესთან ერთად რელიგიურ-ტრადიციული რიტუალიც ჰქონდა შესასრულებელი, რაღაც ძველი სალოცავები. მახსოვს, ბავშვებს მოგვცემდნენ ხელში ფილთაქვას, დანასა და ნახშირს, უნდა შემოგვევლო ეზო-გარემოს კიდურები, რკინა ქვაზე გვეკაკუნებია და გვეძახნა: “ავო სულო, ავო მტერო, შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამიწერე, ჯვარი აქაურობას”. ნახშირი ღობის გადაღმა უნდა გადაგვეგდო, შემდეგ, ღამისთევიდან დაბრუნებულ უკვე მძინარ ბავშვებს ყურის ძირებთან თმაზე მიგვაკრავდნენ თაფლის სანთლის ნამცეცებს, ალბათ, რაღაც შელოცვით.

დღე და ღამე რომ გაიყრებოდა, ყველაფერი მოლაგებული იყო. ანდრიას გამოუხვევდნენ ოცდაათ ლავაშს, დეკეულის საობილოსაც ზედ დაუდებდნენ, ერთ დიდ დოქ ღვინოსაც მისცემდნენ ხელში, ანდრია ქუდს მოიხდიდა, მადლობას იტყოდა და წავიდოდა.

ოჯახის წევრები სტუმრების მოლოდინში გარეთ სკამ-ლოგინზე სხედან.

აივანზე გრძელი ხის მაგიდა დგას. ზედ დიდი ლამპა ანთია, ქინქლა ბუზები ეხვევიან სინათლეს და ცხელ შუშაში ცვივიან.

ზაფხულს ნირი გასტეხია. მარიამობის წინა დღეს, “წყალში ყინული ჩავარდა”. ოდნავ გრილა, ღამის სინესტეში, სახლის გვერდზე, ვაშლი მოწყდა ტოტს და ხმაურით დაეცა მიწაზე, ბალახებში ზღარბმა გაიჩუჩუნა და ვაშლისკენ გასწია.

ვენახის ბოლოში იძახის: “გაგიხმეს პირი” _ წყევლის ბებია.

_ რრრიიი! _ მოისმის შორიდან, კაკლის ღრუში ვასკა ბაყაყი ჩამჯდარა და ყიყინებს.

_ რა დრო იქნება?

_ არ ჩამოვლენ ვითამ? _ იკითხავს ხან ერთი და ხან მეორე.

უცებ შორიდან ურმის ჭრიალი მოისმა. აივანზე მსხდომთ ცქვიტეს ყურები. სახეზე სიხარულის შუქი მოეფინათ; ცოტა ხანიც და გაიღო ჭიშკარი, წინ მეურმე მოუძღვება ხარებს, თეთრი დარაიის ყაბალახით აქვს თავი წაკრული და თამბაქოს მოაბოლებს.

_ დომენტი მოდის! _ დაიძახეს დეიდამ და ბებიამ. ბიძა ჩაეგება, ურემს შორი მანძილი გამოუვლია, დილით წამოსულა ხუნწიდან (სამეგრელო) და ვახშმობისას ძლივს მოატანეს. უფროსი და, რევიას მეუღლე ეწვია ბებიას.

ურემს ურემი მოჰყვა, არც მულმა დაივიწყა, მაღლაკიდან მოვიდა ნიჟარაძის ოჯახობა შვილებით.

ყველას სტუმრობა სასიხარულო და სასიამოვნოა ბებიასთვის, მაგრამ მისი გული მაინც სხვას მოელის: “ნუთუ დაივიწყებენ დღევანდელ დღეს სიძე და ქალიშვილი?” _ ფიქრობს ბებია, ჩემს დედამამაზე.

დიდი ხანია მზად არის ვახშამი, მაგრამ მაინც იცდიან, იანეთის ბაქანზე გამვლელ მატარებელს ელოდებიან.

ოდნავმა ქარშოშინმა სიზმარივით მოიტანა შორიდან ეჟვნების ჟრიალი. მთელი ოჯახი წამოდგა, სტუმარ-მასპინძლები ჭიშკრისაკენ იცქირებიან.

_ გადმოუხვია! _ დაიძახა დეიდამ და ტაში შემოჰკრა.

ცოტა კიდევ და ოთხცხენიანი ეტლი ეზოში შემოგრიალდა. ამოვიდნენ დედა, მამა, და-ძმა, ბებია ანაც წამოუყვანიათ. ქუთაისიდან მათ მოყვანას ოთხი ცხენი კი დასჭირდებოდა.

მასპინძელი სამარხვო ვახშმით დახვდა სტუმრებს. მწვანე ლობიო და ბადრიჯანი, რბილი პური და ძველი ალადასტური, მწიფე ლეღვი და სურნელოვანი ატამი, აივნის თავში ნესვებისა და საზამთროების ხვავი მადას უღვიძებს ადამიანს.

არც სიძე მოსულა ხელცარიელი. თავი შაქარი, კონიაკები, ლიქიორი, პაპიროსები და კარტოფილის სანთელი მოუტანია. უკეთესი ნობათი არ ეჭირვება სავსე ოჯახს.

გაისმა სერგეთის ეკლესიის ზარის ხმა, ღამისმთეველებს უხმობს. ახალგაზრდობა მოირთო, მოიკაზმა, დედები მისდევენ თავიანთ ქალებს, მამაკაცები სუფრიდან არ იძვრიან, მაგრამ იმდენს კი არ დალევენ, დათვრენ და ხვალინდელი დღე გააუგემურონ, მათ საზღვარი აქვთ სმასა თუ ჭამაში. ლაპარაკობენ ცისას, ამ მთისას, იმ მთისას.

ბავშვები ყველაზე წინ გავრბივართ. ეკლესიის დიდ მინდორზე აქა-იქ კიაფობს სანთლის შუქი. ახალგაზრდობას ჭრაქის სინათლეზე გაუჩაღებია ცეკვა-თამაში. საყდრის გალავანში თეთრად გამოიყურებიან საფლავის ქვები. ეკლესიის კარი ღიაა, იქიდან ისმის მღვდლის ღაღადისი, მლოცველები შედიან, ღვთისმშობლის ხატის წინ ემხობიან, ღამეს უთევენ მას. მოხუცი მამაკაცებიც წარმდგარან და ლოცულობენ, მიაქვთ შესაწირავი.

მე მინახავს კახეთში ალავერდობა. იქაური ღამის თევა სულ სხვაა; იქ ზვარაკის შეწირვა იცოდნენ. თვალუწვდენელ მინდორზე შეგროვდებოდა მილეთი ხალხი, კარვები ვერ იტევდა სტუმრებს, მთელი ოჯახებით მოდიოდნენ, ძუძუთა ბავშვებს ურმებში აბინავებდნენ. იქვე ჰკლავდნენ საკლავს, მინდორში ანთებდნენ ცეცხლს, აქვე სწვავდნენ და ხრაკავდნენ, მთელი ფშავ-ხევსურეთი აქ მოზღვავდებოდა, თან მოჰქონდათ თავისი ნაწარმი: ერბო, მატყლი, ყველი, შალი, ფარდაგი და ჯეჯიმი.

ლეკებიც გადმოდიოდნენ და სპილენძეულს ასაღებდნენ. პირუტყვსაც მორეკავდნენ და ხდებობა გაცვლა-გამოცვლა. ვაჭრობა იყო გაჩაღებული, ბაზრობას უფრო წააგავდა, ვიდრე დღეობას.

იმერეთში კი სულ სხვანაირად იცოდნენ. აქ ხატობა მხოლოდ დღესასწაული იყო. ხატს სწირავდნენ ოქროულ ნივთს, სანთელს, აბრეშუმის შულოებს და ყაჭს.

ახალგაზრდობა სიმღერითა და ცეკვა-თამაშით ერთობოდა მინდორზე, გათენებისას სტუმარ-მასპინძლები ოჯახებში ბრუნდებოდნენ. მეორე დღეს სტუმრები წირვაზე გადიოდნენ ოჯახის ერთ-ერთი წევრის თანხლებით.

ხშირად ხდებოდა ასეთი ამბავი: “ნაწირვებს, მასპინძელი ჰხედავს, რომ სტუმართა რიცხვი გაზრდილა. ერთი ან ორი კაცი შემატებია სტუმრებს. ამ უცხო კაცს გაბედულად უჭირავს თავი, ენაწყლიანობს, ყველასთან გამონახავს საერთო სათქმელს, განზე კი იკითხავს ამა თუ იმ პირის ვინაობას, ყველაფერს გაიგებს, ყველაფერს იწვლილებს, ცოტა დაფიქრდება და უკვე შინაური კაცია. ჩოხის სახელოს გადიკაპიწებს და სადილობამდე ერთ-ორხელ ნარდსაც გაგორებს.

მასპინძელი ჩუმად ეკითხება ოჯახობას:

_ ბოშო, ვინ არის ნეტა ეს წითელჩოხა?

_ არ ვიცი, შენ არ მომიკვდე, _ უპასუხებს დიასახლისი.

_ დიდება, შენდა უფალო! _ შეათამაშებს თითებს მასპინძელი იმის ნიშნად, რომ არაფერი მესმის, რა ხდება ჩემს სახლშიო.

_ ბეჩა, შენი არ მიკვირს? ბედნიერი დღეა, სასმელი ბევრი გვაქ და საჭმელი, იყოს ვინც არის, რა გენაღვლება, ალბათ, რომელიმე სტუმრის ნაცნობი ან ნათესავია.

მასპინძელი კიდევ გადაიქნევს თავს და წავა. სტუმრებს კი, მასპინძლის ნათესავად მიაჩნიათ და პატივით ექცევიან “ბატონ ბიქტორს”, ან “ტარასის”, ან “არისტოს” _ რაღაც ხომ ერქმევა?

უცნობი მოშინაურდა, თამადობაც ჩამოართვა კანონიერ თამადას, კარგად გამოიბრუჟა, ბოთლიც გადაამტვრია თავზე, მისი ფიქრით თამადის ურჩსა და ცუდად მსმელს.

“არ გეკადრებათ, ბატონო, ბიქტორ, დამშვიდდით!” _ აშოშმინებენ, როგორც იყო გაისტუმრეს, თავისუფლად ამოისუნთქეს, მაგრამ აი, სასწაული: საღამოს “ჯვარიდან” არ დაბრუნებულა, მასპინძლებისათვის მოუსწრია, მოხუცებულები არად ჩაუგდია, სუფრას მიჯდომია, ნახევარი გოჭი გაუთავებია, ნახევარი ჩაფი ღვინო დაულევია, მარტოდმარტო უქეიფნია. ახლა აივნის კიბის საფეხურზე ჩამომჯდარა, კისერ-მოგრეხილი და გამოთაყვანებული თვალებით იყურება.

ყველას ბრაზი მოსდის “ჩამტანია” სტუმარზე, მაგრამ ძველ სტუმართმოყვარეობას ვერ უღალატებენ. აივნის კუთხეში იატაკზე გაუშალეს ლოგინი, მოასვენეს; ჩაცმულივე გაითხლაშა და ხვრინვა ამოუშვა, დილით ადრე ამდგარა და გაპარულა. მეორე დღეს სხვის სტუმრებს ჩაჰყვება, სხვას გააბედნიერებს თავის სტუმრობით ეს უსაქმო “აზნაური”.

მარიამობას სერგეთის მინდორი ახლო-მახლო სოფლებიდან მოსული ხალხით ივსებოდა. ვისაც მასპინძელი და მოყვარე არ გააჩნდა აქ, სათვალისეიროდ მაინც მოდიოდა. ცხენდაცხენ იმართებოდა ჯირითი, ბურთის გატანა, ჭიდაობა, ცეკვა და სხვა გასართობი. ვისაც როგორ უნდოდა, ისე ატარებდა დროს.

ამ მილეთ ხალხში, თხუთმეტოდე ჩაფრის თანხლებით, მაზრის ბოქაული მინდვრის ერთი თავიდან მეორე მხრისკენ მიაქროლებდა ბედაურს და ჩაფრებიც უკან მისდევდნენ ჭენებით. მიიჩქაროდა უფროსი, რათა იმ თავში ატეხილი ჩხუბი და აყალ-მაყალი ჩაექრო და მთვრალი ხალხი გაეზავებია... მაგრამ ისევ ჩქარა ივიწყებდა, კვლავ სუფრას მიუსხდებოდა სტუმარ-მასპინძელი და გაისმოდა მრავალჟამიერი.

მარიამ გარიყული

ბერი გაბრიელი



მამა გაბრიელი (ურგებაძე) პირველი იყო, რომელმაც მაშინ, როდესაც ეკლესიებს ანგრევდნენ და ხალხს პირჯვრის გამოსახვისთვისაც კი სჯიდნენ, ეკლესია ააშენა.

პირველი იყო მამა გაბრიელი მაშინაც, როდესაც კომუნისტური მმართველობისას (1955 წელს) ბერად აღიკვეცა. მან საბჭოთა ხელისუფლების დროს 1965 წლის 1-ლ მაისს, აღლუმის მონაწილეთა თვალწინ მინისტრთა საბჭოს შენობაზე აღმართული ლენინის 12-მეტრიანი სურათი დაწვა და გაიძახოდა: “დიდება დიდ უფალ იესო ქრისტეს და არა ამ ძაღლ და სატანა ლენინს”. ბრძანება მოვიდა კრემლიდან, გასამართლების გარეშე დაეხვრიტათ, თუმცა...

სიმართლისათვის დევნილმა გაბრიელ ბერმა ბერობის 40 წლის მანძილზე გამოსცადა ციხე და საგიჟე. 25 წელი სასაფლაოზე იცხოვრა. 15 წელი იმათხოვრა. მამა გაბრიელი გარდაცვალების შემდეგაც პირველია, რომელმაც თავისი დასაფლავებაც ერთგვარ ქადაგებად აქცია და, ანდერძისამებრ, დასაფლავდა კუბოს გარეშე, მხოლოდ ჭილოფში შეხვეული ბერმონაზვნური წესით.

დღეს წმინდანთა დასში დავანებული მამა გაბრიელი ღვთისგან მინიჭებული მადლით ცოდვილთა და უძლურთა სიყვარულით მიმღები და მანუგეშებელია.

26 აგვისტოს იგი 90 წლისა გახდებოდა.

ლევან გაბეჩავა

მეოხ გვეყავ, წმინდანო

საყოველთაოდაა ცნობილი 1924 წლის სისხლიანი ქრონიკები. არც ის ადამიანები არიან დავიწყებულნი, ამ წელს განვითარებულ მოვლენებში აქტიურად რომ მონაწილეობდნენ.

ამ დღეებში ეკლესია წმინდა მიტროპოლიტ ნაზარის (ლეჟავა) იხსენიებს. იგი 1868 წელს სოფელ დიდ ჯიხაიშში დაიბადა.

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პროცესში. 1918 წლის 14 ოქტომბერს მცხეთის 12 მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში არქიმანდრიტი ნაზარი ეპისკოპოსად აკურთხეს და ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველად დანიშნეს... 1924 წლის 2 სექტემბერს, გამთენიისას, შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე, დაპატიმრებული მიტროპოლიტი, დეკანოზი გერმანე ჯაჯანიძე, დეკანოზი იეროთეოზ ნიკოლაძე, მღვდელი სვიმონ მჭედლიძე და პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე საფიჩხიის ტყეში დახვრიტეს.

1995 წლის 17 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა) წმინდანთა დასში შერაცხა წმინდა მღვდელმოწამე ნაზარის სახელწოდებით, მისი ხსენების დღედ 27 აგვისტო დადგინდა.

წმინდა მღვდელმოწამე ნაზარის სახელს ატარებს კახა კალაძის ქტიტორობით აგებული ტაძარი სოფელ ნაბაკევში და სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლა.

ლევან გაბეჩავა

პირველი ელდა

პროლოგი

ვწერ, მარტოობის ნექტარით ვთვრები
და ჩამომეხსნა სიმძიმე წელთა...
გამითბო ზამთრით დამზრალი ძვლები
კვლავ სიყვარულის პირველმა ელდამ.
.....
.....
.....
მოვიდა იგი უცნაური
და უხილავი _
სულზე გეენად შემომაგზნო
ცხრა მზე თაკარა...
უგონოდ ტრფიალს-შლეგიაო, _
რატომ კილავენ?
ჭეშმარიტ მიჯნურს არსებობა
ძალუძს სხვაგვარად?!
ჩემი მეგონა, დღებედნიერს,
მთელი სამყარო,
ცას შეეხაროდი ვარსკვლავების
ცრემლით მოფენილს,
არსთა განმრიგეს, თუნდ სიცოცხლეს
ეხლავ გამყაროს,
როგორ არ ვუთხრა ამ განცდისთვის
სამადლობელი?
ნეტარებაა გულის მურაზს
გული თუ ანდე,
მისმა სურვილმა სულ მთლად მომკლა
და გამახელა!..
იმ გრძნობის ალმურს, სისხლის დუღილს,
მდგაველ ჟრუანტელს, _
სხვად ვერ ვიაზრებ, _ სიყვარული
ერქვა სახელად.
არც მიფიქრია _ უბიწოს თუ
ჰქონდა სხეული,
მხამდა მეგემნა უცხო ხილი
იმის ბაღიდან...
დღეს ცოდვილია სული ჩემი _
ეშმაკეული,
უმანკოებამ მწუხარებით
თავი ჩაკიდა.
გესავ ქალღმერთო სიყვარულის!..
მარად მგზნებია
ფიქრი, ოცნება-მწარე ოხვრით
დანამძიმები...
ზეგარდმო ნათელს, შენს სუფევას
რას მიხვდებიან _
ვისაც ერთხელ ვერ შეურხიე
გულის სიმები?!

თავი I

სამოთხის ვარდის გაუშლელ კოკორს
თრთვილავდა ჩემი ცრემლების ნამი;
მიყვარდა, ღმერთო, მიყვარდა როგორ!..
გადამიყვანა ჭკუიდან ლამის.
ო, სრულქმნილს უფლის ღვთიური ნებით,
ვით აბრეშუმი, რძისფერი, შუმი,
პირზე ეფინა სინაზე მგზნები,
სხვა ხიბლი ახლდა მის მეტყველ დუმილს.
სთნდა: მონა ლიზას ნათელი შუბლი
და ფიქრიანი გონების თვალი;
უვნებო, სევდის მსუბუქი ღრუბლით
გაჯერებული ღიმილის კვალი;
ცის გუმბათივით მაღალი ყელი,
ჩინარის წელი და სავსე მკერდი...
წარმავალობის მსახვრალი ხელი
ნუთუ ყველაფერს დაუსვამს წერტილს?!
სხივები ბრელოდ ცვიოდა მზისდარს,
ვით "სივრცეებში ანთებულ ალმასს",
თუ განუცდიათ ტარიელს, ტრისტანს?!
რაც მე დამმართა პატარა ქალმა.
ჩამასო დარდმა კლანჭები ბასრი
და ვრწყულდებოდი ცრემლების რუთი,
სიცოცხლეს ჩემსას უმისოდ აზრი
არ ჰქონდა, გაყრა მიმძიმდა წუთით.
ვერ დამიბრუნებს დაკარგულ ხალისს
თვით უტკბილესი ცხოვრების გემო;
არ დავუწვივარ ალერსის ალით,
არც მისი გულის დაპყრობას ვჩემობ.
მომჯადოები ქალური რიდით
თვალებში ენთო იების შუქი
და იყო ჩემთვის წყალობა დიდი
შემომხედავდა მწყრალადაც თუკი.
მაცდუნებელი ღიმილი ევას
ყველა ქალწულის სახეზე ჰყავის,
ასე მგონია, კვლავ მისი ტყვე ვარ,
დღემდე ვერაფრით დავიხსენ თავი.
უწყალოდ მათოვს ჭაღარა როცა _
ეშმაკიც ვეღარ დამაცდენს ძვირებს...
სიყვარულისთვის მის გამჩენს ვლოცავ,
შეარგოს ღმერთმა, რამდენიც ვწირე.

თავი II

ვიგონებ: ტრფიალს მაბოდებს სიცხე,
მშიერი ვწევარ და თვალებს ვლულავ,
სასთუმლად უდევს ოცნებას ფიცხელს
ფრთამოქათქათე ღრუბელის ქულა.
მისული სიკვდილ-სიცოცხლის ზღვართან,
ვიყავ ქცეული მისდამი ლტოლვად,
ვერვინ შეიგრძნოს მიჯნურის გარდა
მიჯნურის გულის ფეთქვა და თრთოლვა.
წინ ვინ აღუდგა ქარიშხლის სურვილს?
სანატრელს დიდხანს ვუხადე ღალა...
ვიხილავდი და, დამძრახავს ნურვინ,
წამერთმეოდა მუხლებში ძალა.
ო, რა მწარეა ლმობილის ცრემლი,
უცებ მეწვია ნამდვილი დარდი,
ვითარც ფერმკრთალი ყვავილი ტყემლის
მოგონებები მბარდნის და მბარდნის.
ვიწამე სიბრძნე ბრძენკაცთა თქმული _
რაც სიყვარულზე ოდესმე თქმულა,
ამომაცალა მკერდიდან გული,
სიმშვიდე სულის წამგვარა სრულად.
გაცნობა ჩვენი უბრალოდ მოხდა,
(არ ვუხმობ ლამაზ სიტყვებს და ფერებს)
სანდომიანი, სალუქი, კოხტა,
ვერ ამოვიგდე გულიდან მერე.
მღელვარე ზღვისებრ წამოშლის ფიქრებს,
მაფორიაქებს უძილო ღამე...
კვლავ, ღვთის შეწევნით, გონებას ვიკრებ
რომ ძველ იარებს ვუწამლო რამე.

თავი III

ჩემი ლხინის და სულის ვარამის,
ჩემი დამწველის _ ჯვარზე მგებელის
მამა ბრძენი და ტალახოვანი
იყო ქართულის მასწავლებელი.
ამბავი მისთვის ქარს მიეტანა,
ვეღარ ჩაეცხრო რისხვის გრიგალი, _
მუდამ დინჯი და აუძღვრეველი
წამონთებია სახე ფიქალის.
სკოლაში მიხმო დილაადრიან,
მითხრა: "დაგმოძღვრავ როგორც მამაშვილს,
ყმაწვილო, მზეს ნუ ეთამაშები,
სახიფათოა ცეცხლთან თამაში!
ზოგჯერ რუსთველსაც მიაყურადე,
გამოუცდელი, ვიცი, შენა ხარ,
ნამდვილ სიყვარულს, ვით ცხენს ნაქურდალს,
გულში მალულად უნდა შენახვა".
.....
და ჩემს გარშემო ჭორი აგორდა,
უცებ გადიქცა ჭორი ჭორებად,
ეს თავისთავად უკვე ნიშნავდა
სატრფოსთან გაყრას და განშორებას.
ასე უღმერთოდ ბედმა გამწირა
და მაცოცხლებელ ნათელს გამყარა,
თავს ერდო-ბანი ჩამომაქცია,
ოხრად დამაგდო, დამსაპყარა.

თავი IV

დაირეკა ბოლო ზარი,
მივიხურე სკოლის კარი,
განშორების მტანჯველ დღეთა
მოემატა გულს ნაბზარი.
დამეფინა მწუხრის ჩრდილი...
სასწავლებლად წაველ თბილისს,
არც ღიმილი გამყოლია
სატრფოს და არც სიტყვა ტკბილი.
ღვთის წყალობა დავივალე
და სტუდენტიც გავხდი მალე,
მონატრების ცრემლი მწვავდა
თვალებს სევდით ნაფერმკრთალებს.
მწუხარებით თავდაღერილს
ხშირად მედო მიწის ფერი,
მიჯნურს ოხვრით ვიგონებდი
და წერილზე ვწერდი წერილს:

თავი V
წერილი I

შენ არ გახსოვს სიყვარულის
უეცარი ბნედა,
ნეტავ ამ ჩემს გულის ფესვში
ერთხელ ჩაგახედა?!
უნაზესი სულის თრთოლვას
ვერ გავუმხელ ვერვის,
ვარ სიზმრებით შენისლული
იდუმალი ტევრი.
ვერ გავლეწე დარდის კალო
და დამსხმია რეტი,
სადღაც შორს, შორს გაფრენილა
სიხარულის მტრედი.
სულ ვოცნებობ _ შენი ბედის
ვარსკვლავს დამაწყვილა,
მინდა _ როგორც მინდვრის ყვავილს
გეალერსო ფრთხილად.

თავი VI
წერილი II

ვარ კალმახივით მოყოლილი
შენს სხივთა ბადეს,
სხვა ვინ გაიგებს უფაქიზეს
ამ გულისნადებს?!
მინდა გაგენდო და ირწმუნო,
ძვირფასო "სულე",
შენ და ღვთაებას ნუგეშმცემელს
რომ გარქმევთ სულ ერთს.
შორს შენგან ეშმა, დაწყევლილი,
რომ გიშლის გწამდეს!..
გრძნობით აღმანთე, ამამაღლე
მეშვიდე ცამდე!
რარიგ ვინატრი _ ჩემს თვალებშიც
მზე ამობრწყინდეს!..
მომეცი ხელი, რომ სიცოცხლე
ჯერ არ მომწყინდეს.
მოდი, მომხედე, მომელანდე
თუგინდ წამითაც...
ცრემლისოდენა სიხარულის
მეტი _ რა მინდა?!

თავი VII
წერილი III

შემომხვდი, სიმწრის ოფლმა დამცვარა,
დავძლიე კრთომა და მოკრძალება,
ჯოჯოხეთური ცეცხლით დამწვარის
სევდა გაგანდეს ჩემმა თვალებმა.
გლოვის საკანში ვარ ჩაკეტილი,
დარდმა, წუხილმა ცრემლი მოლია,
ვერ წარმოიდგენ, ჩემო კეთილო,
შენთვის სიკვდილიც რა იოლია.
ოჰ, შენი სული მიყვარს უდავოდ,
შენზე ფიქრსა და ლოცვას ვუნდები,
თუ მეტყვი: "წადი!" _ მე სამუდამოდ
წავალ, არასდროს დაგიბრუნდები!

თავი VIII
წერილი IV

"თვალს გავახელ _ ზედ წამწამზე მიზიხარ!"

გრ. ორბელიანი

სიყვარულის ნიჭი, _ ვლოცავ, _
უშურველად ვინც მიბოძა.
ვუძლებ ისრებს ამურისას,
შენგნით ხეულს გულზე ბოძალს.
დავემხგავსე ბედით კრულებს,
შენს ხატებას ვკოცნი ულევს,
მონა შენი _ ფერხთა მტვერი,
საუკუნოდ გიერთგულებ!
წამწამს ზიხარ _ თვალს რომ ვახელ,
ტანლერწამო, შენი სახე
ძილშიაც კი მელანდება,
მაკმარე _ რაც ვივაგლახე!
იაგუნდის "ცრემლთა მძივი"
მომიძღვნია, სხვა ვინ მივის
უფრო მეტად სანუკვარი,
ჩამისახე რწმენის სხივი.
თუმც ფიალა სავსე შხამით
მასვი, მარგე შვების წამიც _
იქნებ ქარებს მივუბოძო
მრუმე დარდის მოსასხამი.

თავი IX

სატრფოს ერთადერთი ფრიად გონივრული
ბარათი ჩემი წერილების პასუხად

უხერხულია ქალისაგან
გრძნობის გამხელა,
ბევრი გამხდარა გაცხადებულ
ენების ზვარაკი,
ხშირად დუმილი _ თანხმობისა
კმარა სამხილად,
და ნიშნავს თბილად წარმოთქმული
ცივი "არა" _ "კის".
ოცნება ჩვენი ლაჟვარდებში
მოჰგავს მზის ციალს,
ტკბილია იგი, ხანაც მწარე,
კვლავ საამოც და
თუ ფიცი შენი _ დაფერფლილი
გულის ფიცია,
გაუძლებს უფლის, უმკაცრესი
დროის გამოცდას.
იქნებ ხარ მართლაც უანგარო
და უღალატო,
და გხიბლავს ჩემი სიმწყაზარე,
წარბთა სიმშვილდე;
ყველა დაეძებს თავის სწორფერს,
თავის თანატოლს,
ხამს მოთმინებით მოიპოვო
სულის სიმშვიდე.
შენში სიკეთის მეუფების
ნამდვილად მჯერა,
ამ ცის და მიწის სიყვარულით
რომა ხარ მთვრალი...
სვებედნიერო, მაინც მინდა
გიყურო ჯერაც:
გონების თვალით, იჭვის თვალით
და... ნდობის თვალით!

თავი X

სანამდის ათწლედს დაასრულებდა,
წელს _ საუკუნეს, სამ წელს ველოდე,
შეჭიდებული მტანჯველ წყლულებთან
ყოველდღე ვფშვნიდი დარდის მე ლოდებს.
თუმცა დამძიმდა სული თქრებით,
იმედის ჭერქვეშ გადავიარგე,
მაინც სიშორის და განშორების
ჯავრი ვერაფრით გადავიყარე.
ბედნიერ დღეთა უხმო მოლოდინს,
დამეწყრილს მღვრიე ფიქრთა შვავებით,
ასულდგმულებდა ოდენ მხოლოდ ის _
წყარო სიცოცხლის და უკვდავების.
მადლობა უფალს _ არას ვემდური,
ის ჩემი რწმენის იყო გადია,
თუკი წამომცდა რამ საყვედური _
ღმრთულად შემინდო და მაპატია.
ბედი არ ვიცი აწ რას მიქადის,
მიკვირს უმზეოდ როგორ გავძელი?!
ვერც ქვეყნის ვალი ვერ მოვიხადე,
ვერც სიყვარულის მძიმე სასჯელი.

თავი XI

ჭირმა თავი, ჩემდა ჭირად,
ვერ დამალა, თუმცა მალა,
სხვისი გულიც დაულახვრავს
თმათაფლას და თაფლისთვალას...
მასაც, ჩემებრ უგონოდ ქმნილს,
დაუკარგავს ტკბილი ძილი,
ჰგავდა კაცის მოლანდებას
უმწეო და ფერმიხდილი.
დღენიადაგ მეოცნებეს,
მარტოდ შთენილს კაეშანთან,
ეგლოვა და ეთავცეშა
ყოფნის დღენი დაეშანთა.
ეჰ, მიჯნური ვის უნახავს
გულმშვიდი და მონა გონის?!
იმის ოხვრა-ვაებასთან
ჩემი გახდა მონაგონი.
დადიოდა მთვარეული,
სიტყვაძუნწი, "ცნობა-შმაგი"
არ გამწირა _ მივერაგა,
ვერც მე ვეჰყარ სივერაგით.
მიველ, გული გადვუშალე,
თითქო ცოტა შვებაც ვნახე,
ყურს მიგდებდა ლმობიერი,
ერთმანეთსა განვეზრახეთ:
რახან ორთა ერთი მზე გვწვავს
უზადო და სხივლაშქარა,
და-ცა-ვშრიტოთ ცრემლის ღელე,
შორით დაგვა, დასტურ, კმარა!
მივუგზავნოთ შუკაცი,
ჩვენ გვეჭიროს თავი შორა,
ქალიც მას ხვდეს, ქვეყნის თვალი, _
რომელსაც სცნობს გულის სწორად.
და რას ფიქრობთ _ თავის პასუხს
ქალი როგორს გაგვიმხელდა?!
გაწყრა, მეხი დაგვატეხა,
გაგვიცოფდა, გაგვიხელდა.
დაბარა სიტყვა დობილს, _
(მოგვახალა როგორც თოფი)
"ჩემი ნდობა ნუ გექნებათ
და იმედი თანაგრძნობის.
ნახეთ თქვენი გზა და შარა,
გინდათ თავში ქვა იხალეთ,
სულაც აღარ დავიდარდებ,
არ დავითხრი ცრემლით თვალებს.
თქვენი არც-როს არ გავხდები _
პირში სული მიდგას ვირეს!.."
ვინც გვიყვარდა, თავს გვერჩივნა,
მისგან უღვთოდ გავიწირეთ.

თავი XII

მსწრაფლად გაფრინდნენ დღენი ფრთამალი...
გადარუჯული სულის ტრამალი
ამიჯეჯილდა, ძველი ნაღველის
თუკი შემომრჩა ნამ-ნატამალი.
გულიც გამრთელდა _ გული ნარვალი,
დრომ ვერ დამრია ხელი მტარვალი,
გარდამომენთო ცა საფირონის
ლალით ოჭვილი და ნაქარვალი.
მის გულის ღამეს ძლივს გავუთენდი,
რა ბედნიერი ვიყავ სტუდენტი,
რას ვიფიქრებდი _ პირველ სიყვარულს
ცრემლებს ამაოდ თუ დავუდენდი.
ბედის ავბედის _ ბედის აშარის,
ო, რა სიმწარე ვიგრძენ შაშარის,
სულს აფრასავით შემოეფლითა
ოცნება მზეში ნაფაშფაშარი.
ისევ მტანჯველი ცეცხლის მოდება,
"სულთქმა, უში" და ოხვრა-გოდება
ვერ ავიშორე, კვლავაც ვიწვნიე
მრისხანე ჟამის გაბოროტება.
მე ვბჭობდი, თურმე ეშმამ იცინა,
მზაკრულად გზიდან ჩამომიცილა,
ქალი სიცოცხლის ჩემის ნუგეში
თვალწინ ამართვა, როგორც წიწილა.
უცხო ყმამ-ვისაც დარმა უდარა, _
ჩამოაფარა ჩემს მზეს სუდარა, _
აღარ დაინდო ტურფა ქალწული,
არ შეისმინა _ რაც ემუდარა.
სატრფო მომტაცა, ვაპმე, რა ქალი?!
ერთობ ჩამწყვიტა გული კაკალი...
ძალა არ მეყო _ იგი მომეკლა,
ან თავი რატომ არ შევაკალი?!
თუმცა არ ვიყავ კაცი ჯაბანი,
ბევრ მტერს ვადინე სისხლი ჩქაფანით,
_
ვინაც გამწირა _ რად ვერ გავწირე?!
რად ვერ წავხურე მიწის საბანი?!
.....
დრო მკურნალია _ გაჭრა ფერებამ,
ქალს გულმა სხვაგვარ უწყო ძგერება...
სხვამ მიითვისა ჩემი სპეკალი,
ჩემი ნანატრი ბედნიერება.
გაცუდდა ჩემი დღე და სოფელი,
ხეს დავემხგავსე ქარით მობელილს,
ვერცა რა ლხინი ვერ შევიფერე,
გავხდი სიცოცხლის უარმყოფელი.
რაყიფიც დარჩა გულგატეხილი,
ერთი ოცნების ბაღის ხეხილი
ვეღარ ვიგემეთ, ფეხქვეშ ჩაგვიწყდა
მრუდე საწუთროს კიბე გრეხილი.
მწუხარე ჟამის ვისმენ არიას,
სული დაობლდა, გულიც მკვდარია...
ვცოცხლობ ფერადი, მღვრიე სიზმრებით, _
"ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია".

ეპილოგი

ქალის მშვენება აჩოქებდა
თვითონ ტიტანებს,
ქალი ოდითგან
სალოცავს ჰგავდა...
ეჰ, რა სახმილი სიყვარულის
გადავიტანე,
რამდენი ბრძოლა
საკუთარ თავთან.
სულის სიმშვიდე, ზეციერო,
როცა მინდოდა,
რად მომივლინე მაცდუნებლად
ლამაზი ცირა?!.
ვითვლიდი დღეებს _ ნისლიანს და
უამინდოთა,
ხეტიალობდა ცაზე ფიქრი
დამაშვრალ მწირად.
გულის სიმებად დაწყვეტილან
წლები ნეტარი,
დამენათევი ოცნება კვლავ
ოცნებას მისდევს...
"ვიბრალებ რაყიფს", მტანჯველ ჭირთა
გადამხედარი,
სისხლდათხეული, ვითარც ჯვარზე
გაკრული ქრისტე.

აკაკი თევზაძე

ლუბა გოგბიას გახსენება

მარიამობას, 28 აგვისტოს, შენი დაბადების დღეა. თვალცრემლიანები იმ დროს ვიხსენებთ, ერთად რომ ვიყავით.

მაშინ ინება არსთა გამრიგებ შენი ამქვეყნიდან წასვლა, როცა შენი მონაგარით უნდა გეხარა.

ტრადიციულად ყვავილებით მოვალთ შენს საფლავთან და მოგილოცავთ დაბადების 90-ე წელს.

ნათელში იყავი, ჩვენო საყვარელო დედავ და ბებიავ.

ოჯახი

გაზეთ "სამტრედიის მაცნის" რედაქცია თანაუგრძნობს მერაბ ჩაჩავას დედის

ტატიანა ფრანგიშვილი-ჩაჩავას

გარდაცვალების გამო.

სამტრედიის რკინიგზის ვაგზლისა და კორესპონდენციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მერაბ ჩაჩავას დედის, ქალბატონი

ტატიანა ფრანგიშვილის

გარდაცვალების გამო.

ლევან გაბეჩავა და შუქრი ურუშაძე თანაუგრძნობენ მერაბ ჩაჩავას დედის

ტატიანა ფრანგიშვილი-ჩაჩავას

გარდაცვალების გამო.

გაბრიელ მარიჩევი დაბრუნდა

სამი წლის უნახავი მამის დასახვედრად ლუკა აეროპორტში ბაბუასთან ერთად მივიდა. საქართველოს დროშით 10 წლის ბიჭუნას ევროპიდან დაბრუნებული მშობლისთვის ჩემპიონობა უნდა მიელოცა. სამტრედიელი გაბრიელ მარიჩევი უკრაინაში შერეულ ორთაბრძოლებში ტიტულოვანი ქამრის მფლობელი გახდა. ჩემპიონთან შესახვედრად დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ოჯახის წევრებთან ერთად გაბრიელის მწვრთნელებიც მივიდნენ. ავთანდილ თარგამაძემ და ბადრი შენგელიამ "სამტრედიის მაცნესთან" სპორტულ კარიერაში გაბრიელ მარიჩევის პირველი ნაბიჯები გაიხსენეს. ავთანდილ თარგამაძე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჭიდაობა ძიუდოში: "გაბრიელი ჩვენთან საჭიდაო დარბაზში ძალიან პატარა მოვიდა. მე მას ვავარჯიშებდი. თავიდანვე გამოირჩეოდა შრომისუნარიანობით, დისციპლინით, თანატოლებისა და უფროსებისადმი პატივისცემით, რაც მას ეხმარებოდა აღნიშნულ სახეობაში შედეგების მისაღწევად. გაბრიელი არაერთხელ ყოფილა სამხარეო თუ რესპუბლიკურ დონეებზე გამარჯვებული. მისი შემდგომი სპორტული გზა შერეულ ორთაბრძოლებში გაგრძელდა. გაბრიელისთვის ძალიან გამოსადეგი გამოდგა ის საბაზისო ცოდნა-გამოცდილება, რომელიც მან ჭიდაობა ძიუდოსა და სამბოში მიიღო. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მოვედი ჩემს კოლეგებთან ერთად, რათა გაბრიელ მარიჩევისათვის მიგვეელოცა ეს გამარჯვება და ამით გამოგვეხატა ყველას მიმართ ღრმა პატივისცემა.

20 აგვისტოს, თბილისის დროით 18:30 წუთზე ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში რეისი ხარკოვი-კოპიტნარის თვითმფრინავი დაეშვა, რომელმაც საქართველოში გაბრიელ მარიჩევი დააბრუნა და 3 წლის უნახავ ადამიანებთან შეხვედრის ბედნიერება მისცა.

უკრაინიდან დაბრუნებულმა 29 წლის სპორტსმენმა გამარჯვება ოჯახს, მშობლიურ ქალაქსა და ქვეყანას მიუძღვნა. ის მწვრთნელები გაიხსენა, რომლებსაც გაბრიელ მარიჩევის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით. წარმატებული სპორტსმენი სამშობლოს დატოვებას აღარ აპირებს. მის უახლოეს გეგმებში საქართველოში მოღვაწეობა შედის.

ნინო ნანიტაშვილი

"ნახომახამ" გაიმახჯვა

ლამაზი სოფელია ჩხენიში. მხოლოდ ის რად ღირს, რომ აქ დაირწა ქართული მათემატიკური სკოლის ფუძემდებლის, პროფესორ ანდრია რაზმაძისა და პოეტ გრიგოლ ჯულუხიძის აკვანი.

ამ დღეებში რედაქციაში ღვაწლმოსილი პიროვნება, თავდაცვის სამინისტროს ვეტერანი, ბატონი **ჯემალ ვლადიმერის ძე ხარებავა** გვეწვია და ერთობ საინტერესო ინფორმაციაც გვაუწყა.

"უკვე ტრადიციად იქცა ჩვენს სოფელში უბნებს შორის ჩემპიონატების ჩატარება ფეხბურთში. ტრადიცია არც წელს დარღვეულა. ამ დღეებში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ნაბაკევის თემის სოფელ ჩხენიშის ხუთივე უბნის ფეხბურთელთაგან დაკომპლექტებული გუნდები, სადაც გამარჯვება "ნახომარას" უბნის გუნდს ხვდა წილად (გუნდის ხელმძღვანელი გელა ხარებავა). აღსანიშნავია, რომ "ნახომარას" გუნდში ვეტერანი ფეხბურთელი, 51 წლის პანტელეიმონ (პაატა) ხარებავაც თამაშობდა.

მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ჩემპიონატის მაღალ დონეზე და საინტერესოდ ჩატარებისათვის გარკვეული მუშაობა გასწიეს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა ნაბაკევის თემში ოთარ წულეისკირმა და სოფლის მაჟორიტარმა, ვაჟა სტურუამ". – გვითხრა ბატონმა ჯემალმა და კმაყოფილება გამოთქვა სოფელ ჩხენიშში ბოლო დროს განხორციელებული და მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა ზრუნვა სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

ლევან გაბეჩავა

ვითხოვთ თავშესაფარს!

ვულოცავთ!

რუსუდან მუქერიას!

ჩვენს ერთგულ მეგობარს, კეთილშობილ ქალბატონს, საუკეთესო შვილს, მეუღლეს, დედას დაბადების დღეს გილოცავ!
მრავალს დაესწარი. ღმერთი იყოს შენი მფარველი!

"სამტრედიის მაცნე"

კარლო კალაძეს!

პატივისცემით გილოცავ დაბადების დღესა და მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს საყვარელ ოჯახთან ერთად.

ტარიელ დვალიშვილი

ახალი ლექსები

***

ასე გათენდა, თუ შენ გათენდი?
თითქოსდა წუხელ
იქნებ საღამოდ გადამირბინე...
დღეს შენ ცასავით
მომმართავდი სალამულურად: _
მე ვიყავ დღე და
როგორ ლამაზად გადავიწვიმე...

***

ალბათ, მიჯნურთა
გულების ცემას დაუგდეს ყური და
გამოიგონეს მორზეს ანბანი...

***

ჩემს ფიქრში თითქოს
მშობლების ფიქრი შემომხვდა და
ასე უპატრონო რომ მიპოვეს,
თავისი ფიქრის სამოსელით
შემმოსეს ჩუმად...

***

დროდადრო გათანგული
წუთისოფელი, რომ არ წაიქცეს,
კალამს დაეყრდნობა და
ცოტა ხნით ლექსით მოითქვამს სულსა...

***

რა არს სურამის წყარო,
ცოდვილიც გალოცვინოსა.
იქნებ მიჯნურის ტუჩებიც
თანა რომ გამორიყოსა,
ცივსა რომ დაეწაფები,
შიგ ბევრი გაკოცნინოსა.

***

ჩამოიღიმე, ჩამოჰკაფ
შენი ღიმილის ჩანჩქერით,
გადაუარე ჩემს ცქერას
თეთრი კენჭების საცერით.
შიგ მოიყოლოს, დამიხრჩოს
ჩემი თვალების ნაცქერი...

ერმილე ციოფურია

საოცრება

აივანზე მჯდარი მტრედი,
ჩანს, რიჟრაჟზე ჭკუას კარგავს,
ცისარტყელა ნაკადულის
საპატარძლო კაბას ქარგავს.
დარის სარგო აღტაცება
ხმელეთს თხრობის კუნძულს სძალავს,
მთის უმწიკვლო დალალები
ემოციებს ვეღარ მალავს.
წყნარი მინდვრის მწვანე პიჯაკს,
ჭრელი პეპლის არსი მართავს,
პაწაწინა ფრინველები
ერთხმად შიშთა ბავეს მარხავს.
ტყის აღზრდილი იები კი
უჩვეულო იმედს სახავს,
განცვიფრდება, თუკი ვინმე
ყოველივეს თვითონ ნახავს.

ნუგზარ ჯიორბენაძე

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა